საქართველოს პარლამენტი

2024 წლის მაისის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
ივნისი

2024 წლის მაისის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

11.8%

აპრილი*

2024 წლის მაისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **2.0%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **1.7%**-ით განისაზღვრა.

იანვარ - აპრილში* საქონლის ექსპორტი **10.1%**-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი **0.3%**-ით გაიზარდა.



აპრილში* ფულადმა გზავნილებმა **278.5** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **41.8%;**
რუსეთი - **17.6%;**
აშშ - **16.6%;**
სხვა ქვეყნები - **23.9%.**

აპრილში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **1.4%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **2.1%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის აპრილში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 11.8%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის აპრილში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 11.8% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა დამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, ინფორმაცია და კომუნიკაციის, ტრანსპორტისა და დასაწყობების, ვაჭრობისა და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებასთან დაკავშირებული საქმიანობების დარგებმა, ხოლო კლება დაფიქსირდა ენერგეტიკის სექტორში.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის აპრილში* 12,815.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.1%-ით აღემატება.



<u>2024 წლის მაისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 2.0% შეადგინა.</u>

მაისში, წინა წლის აპრილთან მიმართებით, ინფლაციის დონე 2.0%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, აგრეთვე სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. მაისში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 1.7%-ით განისაზღვრა.

2024 წლის აპრილში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 2.3% შეადგინა.







<u>2024 წლის აპრილში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

აპრილში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 5.3%-ით შემცირდა, ხოლო ხარჯები 27.2%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 145.9 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 265.5 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის აპრილში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,908.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20.3%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა მოგების გადასახადი (413.1%), აქციზი (54.5%) და დღგ (36.7%). ამავე პერიოდში 286.4%-ით შემცირდა სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 43.8%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 56.2% შეადგინა.

აპრილში*, წინა წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით, არაფინანსური აქტივების დადებითი 2.3%-იანი ზრდა (9.6 მილიონი ლარით მეტი), ხოლო ფინანსური აქტივების 79.7%-იანი ზრდა (28.2 მილიონი ლარით მეტი) დაფიქსირდა.



<u>2024 წლის აპრილში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

აპრილში*, წინა წლის აპრილთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 21.0%-ით მოიმატა და 52.7 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 20.2%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 22.2%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 0.08 პპ-ით შემცირდა და 44.6% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.9%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.8% ფიზიკურ პირებზე მოდის, 14.2% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 36.4% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 64.0% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით გაცემულ სესხებში, ყველაზე მეტი - 21.4% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.3% - მშენებლობის, 18.0% - მრეწველობის, 12.7% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-აპრილში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა საქონლის ექსპორტი და გაიზარდა საქონლის იმპორტი.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 10.1%-ით დაიკლო, ხოლო იმპორტმა 0.3%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 2.7%-ით შემცირდა და 6,563.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 26.9%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (102%), აშშ-ში (87%), ყაზახეთში (15%), უკრაინაში (27%), უზბეკეთში (23%), შვეიცარიასა (19%) და პოლონეთში (31%). ექსპორტი შემცირდა ბულგარეთში (86%), ჩინეთში (51%), სომხეთში (38%), გერმანიაში (28%), აზერბაიჯანში (27%), პერუსა (46%) და თურქეთში(10%).

იანვარ - აპრილში* საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი მეტალების (119%), ნატურალური ღვინის (61%), სპირტიანი სასმელების (49%), მინერალური წყლების შაქრის გარეშე (31%) ჯგუფებში. შემცირდა აზოტოვანი სასუქების (35%), მსუბუქი ავტომობილების (3%) და ფეროშენადნობის (2%) საზღვარგარეთ გატანა.



2024 წლის იანვარ - აპრილში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი, 73.4% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 18.4% - საზღვაო, 4.7% - საჰაერო, 3.3% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 0.2% შეადგინა.



იანვარ - აპრილში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით, იმპორტის უდიდესი ნაწილი 49.1% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 32.7% - საზღვაო, 7.8% - საჰაერო, 6.4% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 4.1% შეადგინა.



იანვარ - აპრილში* საქართველოს ადგილობრივმა ექსპორტმა 805.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 18.3%-ით ნაკლებია. აღნიშნულ პერიოდში ათი უმსხვილესი ქვეყანა სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა იყო: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 23.5%), თურქეთი (13.2%), ჩინეთი (8.5%), სომხეთი (5.4%), უკრაინა (4.1%), აზერბაიჯანი (4.1%), შვეიცარია (3.9%), აშშ (3.9%), პერუ (2.6%), ყაზახეთი (2.6%).





<u>2024 წლის აპრილში* ფულადი გზავნილები შემცირდა.</u>

აპრილში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილები 24.8%-ით შემცირდა და 278.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 41.8%) და რუსეთი (17.6%) წარმოადგენდნენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მოიმატა: აშშ-დან (35.4%, 46.3 მლნ აშშ დოლარი), იტალიიდან (12.1%, 45.8 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (7.4%, 21.9 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (15.0%, 20.7 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (17.2%, 19.9 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (60.7%, 5.3 მლნ აშშ დოლარი) და სხვა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: რუსეთიდან (69.3%, 49.1 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (37.9%, 12.3 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (12.4%, 45.8 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანიდან (22.2%, 3.7 მლნ აშშ დოლარი) და სხვა.



<u>2024 წლის მაისში საერთაშორისო რეზერვებმა 4,600 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

მაისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,600 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 8.0%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით 4.5%-ით ნაკლებია.

2024 წლის მაისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის გაუფასურების საპასუხოდ სავალუტო აუქციონზე 108.7 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

<u>2024 წლის აპრილში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.</u>

აპრილში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა 3.7%-ით გაიზარდა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 12.5%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 4.3%-ით შემცირდა.

ფულის M2 აგრეგატმა 25.9%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 20.2%-ს გაუტოლდა. 2024 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 2.0% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



2024 წლის მაისის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 8,432.2 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, 65.8% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 20.4% ეროვნული ბანკის, ხოლო 13.8% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 10.8%, არა რეზიდენტი - 3.0%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(მაისი)



2024 წლის აპრილში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 54,035.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 22.4%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 50.6% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა - 49.4%.

2024 წლის აპრილის თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.8% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.2% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ანალოგიურ პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.8% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 33.2% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(აპრილი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 49.2% ვადიანი დეპოზიტებია, 25.4% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 25.4% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში ყველაზე დიდი წილი კვლავ ვადიან დეპოზიტებს უკავია (39.9%), შემდეგ მოდის მოთხოვნამდე დეპოზიტები (32.6%) და მიმდინარე ანგარიშები (27.5%).



<u>2024 წლის აპრილში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.</u>

აპრილში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.78 პპ-ით შემცირდა და 45.4%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.08 პპ-ით მოიკლო და 44.6% შეადგინა.

აპრილის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.2%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 1.9%-ით მოიკლო.



2024 წლის აპრილში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 10,439.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 28.9%-ით აღემატება. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.5%-ია, ხოლო მოკლევადიანის მხოლოდ 3.5%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 35,622.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 23.5%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 47.8%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 52.2%.



აპრილის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების 62.1% გაცემულია თბილისში, 8.1% იმერეთში, 7.5% აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.7% კახეთში, 4.8% ქვემო ქართლში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის აპრილში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2 პპ-ით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.1 პპ-ით გაიზარდა.

აპრილში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.9% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.1%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) აპრილის* მდგომარეობით 5.8% შეადგინა, 0.18 პპ-ით მეტი წინა წლის აპრილთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 0.25 პპ-ით შემცირდა და 8.00% შეადგინა.





2024 წლის მაისში, წინა თვესთან მიმართებით, ლარი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გაუფასურდა.

მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.4%-ით, ევროს მიმართ 2.1%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 1.7%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, აპრილში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 6.7%-ით და ევროს მიმართ 6.0%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 52.8%-ით გამყარდა.

მაისის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.72, ევროსთან მიმართებთ 2.93, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2023 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,045 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 15.3%-ით (271 ლარით მეტი), ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 10.2%-ით მეტია (189 ლარით მეტი).

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2023 წლის IV კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში 4,309 ლარის ოდენობით (17.3% წლიური ზრდა), აგრეთვე საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებსა (3,110 ლარის ოდენობით, 14.1% წლიური ზრდა) და მშენებლობის დარგებში (3,063 ლარის ოდენობით, 20.8% წლიური ზრდა).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით
(ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე
(მლნ ლარი)



2024 წლის აპრილის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

აპრილში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 202.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 4.4%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 179.1 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.4%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის მაისში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 75.5% შეადგინა, ხოლო სომხეთში შედარებით მცირე (0.3%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის აპრილის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 0.7%-ით, ხოლო რუსეთში 7.8%-ით გაიზარდა.





2024 წლის მაისის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაისში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი (6.7%-ით), თურქული ლირა (39.0%-ით), რუსული რუბლი (13.4%-ით), სომხური დრამი (0.5%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით) გაუფასურდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	მაი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.0	7.7	5.5	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	8.2	11.8	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	5.2	6.1	2.9	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	8.5	19.1	
ინფლაცია (%)	1.5	0.6	0.3	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	1.4	0.3	0.5	1.5	2.0
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.5	10.5	10.5	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	10,445.9	9.00	8.25	8.25	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.4	0.5	0.5	0.4	0.4	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	0.4	0.4	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.5	2.6	2.6	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	384,886	353,171	301,068	287,006	283,878	283,006	292,733	308,286	263,169	264,345	278,469	278,515	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	541	550	527	493	526	495	482	514	339	465	523	437	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,330	1,342	1,324	1,411	1,382	1,359	1,295	1,364	1,096	1,166	1,177	1,362	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-788.4	-791.8	-796.8	-917.3	-855.5	-864.3	-812.8	-849.8	-757.0	-701.0	-654.1	-925.0	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,005	5,067	5,436	5,437	5,273	5,119	5,122	5,003	4,853	4,746	4,777	4,814	4,600
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,756	1,878	1,847	1,722	1,821	1,913	1,831	2,122	2,116	1,823	2,384	2,050	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,569	1,441	1,901	1,269	1,496	1,626	1,581	1,947	1,716	1,676	1,558	1,904	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	401	496	365	659	616	469	545	1,109	402	420	430	424	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი